ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ14. 14260127**

თარიღი:**12/01/2026**

„ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიების შესახებ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „ჯანმრთელობის დაცვა“, ქვეპროგრამის „ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია“ განხორციელების მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექ სი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტის და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 დეკემბრის №53 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს:

ა) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განცხადება - „ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის შესრულებაში მონაწილეობის მსურველ პირთათვის, თანახმად დანართი 1-სა.

ბ) „ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტა ცია“ ქვეპროგრამის ფარგლებში ვაუჩერის გაცემისა და გამოყენების წესი, თანახმად დანართი 2-სა;

გ) სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციასთან გასაფორმებელი ხელშეკრულე ბის პროექტი, თანახმად დანართი 3-სა.

2. ქვეპროგრამის „ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია“ ფარგლებში გასაცემ ვაუჩერზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსს.

3. „ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილი

ტაცია“ ქვეპროგრამის ფარგლებში სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებასთან გასაფორმებელ ხელშეკრულებაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსს

4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურმა უზრუნველყოს „ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის ფარგლებში სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულების შენახვა და ამ ხელშეკრულების შესაბამისი სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებისათვის მიწოდება.

5. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე (www.batumi.ge).

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ცინცაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი 1

დამტკიცებულია

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის

მერის 2026 წლის _____ იანვრის

№_____ ბრძანებით

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
განცხადება

„ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის ფარგლებში მონაწილეობის მსურველ პირთათვის

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია (მის: ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №25) აცნობებს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია ქვეპროგრამა „ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია“.

2. „ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის მიზანია: ერგოთერაპია, არტთერაპია, ფსიქოლოგიური დახმარება, პედაგოგის მომსახურება, სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება, საყოფაცხოვრებო და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავება, ერთჯერადი კვება სამკომპონენტიანი სადილით კვირაში ხუთი დღის განმავლობაში (მენიუ თან ერთვის). ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურების მიწოდება ხორციელდება ვაუჩერის საშუალებით. ქვეპროგრამის მოსარგებლეს აქვს თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა მომსახურების მიმწოდებლებს შორის, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

3. მომსახურების გაწევის ვადაა: 2026 წლის 8 იანვრიდან 2026 წლის 23 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი.

4. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან შშმ პირები, საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ქალაქ ბათუმში, 2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

5. ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა „ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია“ ღონისძიებაში მონაწილეობის მსურველმა დაწესებულებებმა გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: ქ.ბათუმი, ორბელიანის ქ. №10, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

6. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) წერილობითი განაცხადი „ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის განხორციელებაში მონაწილეობის მიღების სურვილის თაობაზე;

ბ) მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონის ნომერი, ფაქსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები);

გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს მუშაობის გამოცდილება ანალოგიური მომსახურების სფეროში არანაკლებ ერთი წელი.

ე) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტები;

ვ) ბენეფიციარმა მომსახურება უნდა მიიღოს დღის ცენტრში, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- დღის ცენტრი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: ფართობი არანაკლებ 150 კვმ-სა (30 პირის შემთხვევაში), უნდა გააჩნდეს შიდა ეზო, სამზარეულო, მინიმუმ ორი სველი წერტილი. გამართული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ადაპტირებული გარემო.

დღის ცენტრში მომსახურება უნდა განხორციელდეს შემდეგი პრინციპით:

45 (მაქსიმუმ) უნარშეზღუდული პირისათვის (18 წლის ასაკის ზემოთ) ინდივიდუალური რეაბილიტაციის გეგმის შედგენა, ფსიქოლოგის, ფსიქიატრის, მედდის, პედაგოგის და ერგოთერაპევტის ჩართვით 12 თვე, საჭიროებიდან გამომდინარე.

- სამკოპონენტიანი სადილით დღეში ერთხელ უზრუნველყოფა, 12 თვის განმავლობაში, კვირაში ხუთ დღეს;

- პროგრამაში მონაწილეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა 12 თვის განმავლობაში, კვირაში ხუთ დღეს;

- პროგრამაში მონაწილეებისათვის საყოფაცხოვრებო და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებისათვის შესაბამისი ინდივიდუალური გეგმის შედგენა;

- პროგრამაში მონაწილეებისათვის საგანმანათლებლო, კულტურულ და სპორტულ გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველყოფა.

დაფინანსება უნდა განხორციელდეს ფაქტიური დღეების ხარჯზე, ერთი დღე პირისპირ - 24 ლარი, ხოლო დისტანციური მეცადინეობის შემთხვევაში - 14.4 ლარი.

„ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის ფარგლებში ღონისძიებების, ფასებისა და შესრულების წესის შესახებ ინფორმაცია განთავ-სებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე: www.batumi.ge.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: ქ.ბათუმი, ორბელიანის ქ. №10, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური. ტელეფონი: 24-63-02; 577 30 26 59; მარინე რუხაძე.

დანართი 2
დამტკიცებულია
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2026 წლის _____ იანვრის
№_____ ბრძანებით

„ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის ფარგლებში ვაუჩერის გაცემისა და გამოყენების წესი

ბენეფიციარის წარმომადგენელი განცხადებით და თანმხლები დოკუმენტებით მიმართავს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას.

საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი:

- ბენეფიციარის პირადობის მოწმობის ასლი;
- სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ -ფორმა №IV-100/ა;
- ბენეფიციარის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი ცნობის ასლი;
- ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან (არსებობის შემთხვევაში);
- მშობლის ან მისი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი;

ქვეპროგრამის ბენეფიციარის სრულყოფილი დოკუმენტაციის საფუძველზე გაიცემა ვაუჩერი.

ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ქალაქ ბათუმში, 2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

ბენეფიციარმა ან მისმა წარმომადგენელმა დადგენილი წესით უნდა მიიღოს ვაუჩერი თვეში ერთჯერ.

ქვეპროგრამის ბენეფიციარს რეაბილიტაციის კურსი დაუფინანსდება ვაუჩერში მითითებული ფიქსირებული თანხით, პირისპირ ჩატარების შემთხვევაში ერთეულის ფასი (ერთი დღე) - 24 ლარი, ხოლო დისტანციური მეცადინეობის შემთხვევაში - 14,4 ლარი.

მენიუ

ორშაბათი	წვნიანი ვერმიშელით	350 გრ
	გუფთა პიურეთი	150/250გრ
	პური	300გრ
	ხილის ასორტი	100 გრ
	კომპოტი ხილის	250მლ
სამშაბათი	ბორშჩი	350 გრ
	ხორცის კოტლეტი წიწიბურას გარნირით	150\250 გრ
	ხილის ასორტი	100 გრ
	პური	300 გრ
	კომპოტი ხილის	250მლ
ოთხშაბათი	ბარდის სუპი	350 გრ
	შემწვარი ქათამი ბრინჯით	150\250 გრ
	პური	300 გრ
	ხილის ასორტი	100გრ
	კომპოტი ხილის	250 მლ
ხუთშაბათი	წვნიანი მაკარონით	350 გრ
	მოხარშული თევზი კარტოფილის პიურეთი	120\250 გრ
	ხილის ასორტი	100 გრ
	პური	300 გრ
	კომპოტი ხილის	250 მლ
პარასკევი	ბორში	350 გრ
	ხორცის გუფთა შემწვარი კარტოფილი გარნირით	150\250 გრ
	პური	300 გრ
	ხილის ასორტი	100 გრ
	კომპოტი ხილის	250 მლ

დანართი 3

დამტკიცებულია

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2026 წლის _____ იანვრის
№_____ ბრძანებით

პროექტი

ხელშეკრულება

ქ. ბათუმი **____ _____ 2026 წელი**

1 .ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ ქალაქის ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო (ტექსტში შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი _____ სახით, მოქმედი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის **2026 წლის ____ იანვრის №_____** ბრძანების საფუძველზე, და მეორეს მხრივ, _____ (საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი _____, ტექსტში შემდგომში - „მიმწოდებელი“) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას, რომლითაც განსაზღვრულია მხარეთა უფლებები და ვალდებულებები.

2. ხელშეკრულების სამართლებრივი საფუძვლები

2.1. ხელშეკრულების სამართლებრივ საფუძვლებს წარმოადგენს: საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 დეკემბრის № 53 დადგენილება; „ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის ____ იანვრის N_____ ბრძანება.

2.2. მხარეები ადასტურებენ, რომ ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის, კულტურულ ღონისძიებებში ჩართულობის, საყოფაცხოვრებო და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია პროგრამა „ჯანმრთელობის დაცვა“, ქვეპროგრამა „ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია“, რომლის ფარგლებში ქ. ბათუმში, 2026 წლის 01 იანვრის მდგომარეობით რეგისტრირებული შშმ სტატუსის მქონე 18 წელს გადაცილებული პირები (შემდგომში „ბენეფიციარები“) იღებენ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებას.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ურთიერთობის მოწესრიგება.

3.2 ამ ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი ახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირებისთვის (ბენეფიციარი) ვაუჩერის საფუძველზე მომსახურების გაწევას წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

4. ძირითადი დებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია, ბენეფიციარის ინდივიდუალური რეაბილიტაციის გეგმის შედგენით, გაუწიოს ბენეფიციარს ფსიქოლოგის, ფსიქიატრის, მედდის, პედაგოგის და ერგოთერაპევტის ჩართვით პირისპირ მომსახურების შემთხვევაში, საჭიროებიდან გამომდინარე.

შემსყიდველი: **მიმწოდებელი:**

4.2. 4.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურება, ასევე, უნდა მოიცავდეს შემდეგ კომპონენ-ტებს:

ა) სამკოპონენტიანი სადილი დღეში ერთხელ კვირაში ხუთ დღეს;

ბ) ბენეფიციარის ტრანსპორტით უზრუნველყოფა, კვირაში ხუთ დღეს;

გ) ბენეფიციარის საყოფაცხოვრებო და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებისათვის შესაბამისი ინდივიდუალური გეგმის შედგენა.

4.3. ბენეფიციარმა პირისპირ სერვისის მიღების შემთხვევაში მომსახურება უნდა მიიღოს დღის ცენტრში, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) ბენეფიციართა რაოდენობა არაუმეტეს 45 ;

ბ) ფართობი არანაკლებ 5 კვ.მ-სა (ერთი პირის შემთხვევაში);

გ) დღის ცენტრს უნდა გააჩნდეს შიდა ეზო, სამზარეულო, მინიმუმ ორი სველი წერტილი. გამართული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ადაპტირებული გარემო.

4.4. მომსახურების გამწევი ვალდებულია ბენეფიციარის ინდივიდიალური რეაბილიტაციის გეგმის შედგენით გაუწიოს ბენეფიციარს დისტანციური მომსახურეობა, საჭიროებიდან გამომდი-ნარე. შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

ა) ონლაინ სესია უშუალოდ ბენეფიციართან ან მშობლით/მომვლელით გაშუალებული თერაპია;

ბ) მშობლის/მომვლელის დისტანციური (ონლაინ ან სატელეფონო) კონსულტაცია, ჩივილებზე რეაგირება, ბენეფიციართან დაკავშირებული წუხილის, ინტერაქციის, პრობლემური ქცევის ან სხვა აქტივობის შესახებ რეკომენდაციების გაცემა, მოწოდებული ვიდეოების განხილვა და უკუგ);

გ) მშობლის/მომვლელისათვის მისთვის საინტერესო თემებზე, ბავშვის განვითარების, შესაბამისი აქტივობებისა და თამაშების შესაძლო ვარიანტების მომზადება და მასალის მიწოდება;

დ) ბენეფიციარების მშობლებისთვის/მომვლელებისათვის ონლაინ ჯგუფური შეხვედრები ბავშვის ქცევის მართვის, პოზიტიური აღზრდისა და განვითარებასთან დაკავშირებული თემების შესახებ.

4.5. პირისპირ სერვისის გაწევის შემთხვევაში ბენეფიციარისთვის სადილით უზრუნველყოფას ახორციელებს „ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის ____ იანვრის №_____ ბრძანებით გათვალისწინებული მენიუს შესაბამისად.

4.6. შემსყიდველი უფლებამოსილია, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მიანიჭოს უფლებამოსილება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელს ან სხვა პირს, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას მომსახურების მიწოდებაზე.

5. მომსახურების გაწევის ვადა და საფასური

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია, ბენეფიციარის საჭიროებიდან გამომდინარე, უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა 2026 წლის 8 იანვრიდან 2026 წლის 23 დეკემბრის ჩათვლით.

5.2. შემსყიდველი პირისპირ სერვისის მიწოდების შემთხვევაში ბენეფიციარისთვის გაწეული მომსახურების სანაცვლოდ იხდის 24 (ოცდაოთხი) ლარს, ფაქტიურად გაწეული მომსახურების ყოველ დღეზე, ხოლო დისტანციური მომსახურების გაწევის შემთხვევაში - 14.40 (თოთხმეტი ლარი და 40 თეთრი) ლარს.

5.3. საფასურის ანაზღაურება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ ვაუჩერის წარმოდგენის საფუძ-ველზე, 5.2 პუნქტით დადგენილი წესით.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორ-ციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი მიმწოდებლის წინასწარ ინფორმირების შემდგომ და მოახდინოს ქვეპროგრამის ფარგლებში მიმწოდებლის მიერ

ასანაზღაურებლად მოთხოვნილი თანხის სისწორის ინსპექტირება. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს/ინსპექტირებას და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერას განახორციელებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მართვის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ ფეტიძე, ხოლო მისი არ ყოფნის (შვებულება, დროებითი შრომისუუნარობა და სხვა) შემთხვევაში - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მართვის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ლელა ალექსანდროვა.

6.2. ინსპექტირების შედეგებზე დგება აქტი, რომელსაც ხელს აწერენ შემსყიდველის და მიმწოდებლის უფლებამოსილი პირები.

7. მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისათვის შემსყიდველს მომსახურების შესრულებიდან არა უმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღისა უნდა წარედგინოს ანგარიშფაქტურა/ინვოისი.

7.3. წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

7.4. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

8.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში შემსყიდველი ვალდებულია განახორციელოს შესაბამისი ანაზღაურება.

8.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებით.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ასეთ შემთხვევაზე 100 ლარის ოდენობით.

9.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9.4. შემსყიდველი უფლებამოსილია წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო გაუქვითოს მიმწოდებელს სახელშეკრულებო ანაზღაურება.

10. სხვა პირობები

10.1. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

10.2. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

შემსყიდველი: **მიმწოდებელი:**

10.3. მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისად ფაქტების დადასტურება.

10.4. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

10.5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება შემსყიდველთან და მიმწოდებელთან.

10.6. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეტანილია წერილობითი სახით და ხელმოწერილია ორივე მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ.

10.7. მიმწოდებელი ადასტურებს, რომ გაეცნო, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის **2026 წლის _____ იანვრის № _____** ბრძანებას, ეთანხმება ხელშეკრულების შინაარსს და სრული ნებაყოფლობის საფუძველზე ხელს აწერს წინამდებარე ხელშეკრულებას.

11.მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
აღმასრულებელი ორგანო

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამსახურის უფროსი
_____ /_____//_____/
(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)

„მიმწოდებელი“: _____
(სახელი, გვარი/სახელწოდება, საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი)

წარმომადგენელი: /_____//_____/
(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)